## ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 72-ა

ქ. ჯვარი „ 17 “ „ივნისი ‘‘ 2018 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის, გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების საფუძველზე 2018 წლის საბიუჯეტო სახსრების ფარგლებში სსიპ პროფესიული კოლეჯი „ლაკადა“ ერთის მხრივ (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მ/შ თეანა ქუხილავას სახით და მეორეს მხრივ შპს „აიროპტი“ (შემდგომში მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის თორნიკე ანთიას სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ტერმინთა განმარტებები

1.1 მიმწოდებელი – შპს „აიროპტი".

1.2 შემსყიდველი – სსიპ პროფესიული კოლეჯი „ლაკადა“.

1.3 ელექტრონული ფოსტა – ელექტრონული საფოსტო მისამართი, რომლის საშუალებითაც ხდება მიმოწერის ორგანიზება ინტერნეტის სხვა მომხმარებლებთან.

1.4 მომსახურება – წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად შემსყიდველისათვის გასაწევი ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურება.

1.5 აპარატურა – უსადენო (WI-FI) ქსელის მიმღები მოწყობილობა, კვების ბლოკი, ან/და სხვა მოწყობილობები, რომლებიც საჭიროა მომსახურების მისაწოდებლად და რომლებიც წარმოადგენს შემსყიდველის საკუთრებას.

1.6 მომხმარებელთა უფლებების დაცვის რეგლამენტი - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ 2006 წლის 17 მარტის დადგენილება № 3-ით დამტკიცებული ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტი.

1.7 ხელშეკრულება – შპს „აიროპტ“-ის მიერ მომსახურების გაწევის თაობაზე (შემდგომში „მომსახურების ხელშეკრულება“) - წინამდებარე ხელშეკრულება და მისი ყველა დანართი.

1.8 სადემარკაციო წერტილი - ადგილი სადაც შემსყიდველის შიდა ქსელი უერთდება მიმწოდებლის საერთო ქსელს და სადაც ხდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის ვალდებულებების გამიჯვნა.

1.9 შიდა ქსელი - მომსახურების მისაღებად საჭირო შემსყიდველის კუთვნილი აპარატურისა და კაბელების ერთობლიობა.

### 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე მომსახურების ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით, მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს ინტერნეტ მომსახურება (CPV კოდი 72400000) (წარმოდგენილი ამ ხელშეკრულების დანართ №1-ში მითითებული მომსახურების აღწერილობის შესაბამისად, რომელიც ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია) რის სანაცვლოდაც შემსყიდველი ვალდებულია გადაიხადოს საფასური მომსახურების ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობითა და პირობებით.

2.2 მიმწოდებელი ქვემოთ მოცემული პირობების შესაბამისად ახორციელებს შემსყიდველის მომსახურებას ყოველდღიურად 24 (ოცდაოთხი) საათის განმავლობაში გარდა იმ შემთხვევებისა როცა მიმწოდებელი აწარმოებს პროფილაქტიკურ და სარემონტო სამუშაოებს ან როდესაც ადგილი აქვს მომსახურების ღირებულების გადაუხდელობას (მათ შორის თანხის არასრულად გადახდა), რის თაობაზეც შემსყიდველს წინასწარ არანაკლებ 4 (ოთხი) საათით ადრე ეცნობება. მხარეები დამატებით თანხმდებიან, რომ მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას დაზიანება, რომლის შედეგად შემსყიდველს შეფერხებით ან საერთოდ არ მიეწოდება ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურება და რომლის აღმოფხვრის ვალდებულება, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის მომხმარებელთა უფლებების დაცვის რეგლამენტის შესაბამისად ეკისრება მიმწოდებელს. მიმწოდებელი ვალდებულია ასეთი დაზიანება აღმოფხვრას გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს მომხმარებელთა უფლებების დაცვის რეგლამენტით ასეთი დაზიანების აღმოფხვრისათვის განსაზღვრული ვადისა. აღნიშნული დაზიანების აღმოფხვრის ვადის დინება დაიწყება შემსყიდველის უფლებამოსილი პირის ელექტრონული ფოსტიდან (საკონტაქტო პირი: თეანა ქუხილავა ტელეფონი: 595 50 67 32 ელ-ფოსტა: ssipjvari@gmail.com მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულების 4.5. პუნქტით განსაზღვრულ ელექტრონულ ფოსტაზე, ასევე შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე: tornikeantia@gmail.com წერილობითი შეტყობინების მიღების მომენტიდან.

### 3. მომსახურების პირობები და ხარისხი

3.1 მხარეები თანხმდებიან, რომ მომსახურების გაწევა მოხდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის 17 ივნისიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, დანართ №1-ში მითითებული მომსახურების ხარისხის პირობების დაცვით 24 საათის განმავლობაში.

3.2 მომსახურება ითვლება 24 საათის განმავლობაში სრულად და ხარისხიანად მიწოდებულად, თუკი მომსახურების შეწყვეტის ხანგრძლივობა ერთი კალენდარული თვის განმავლობაში არ აღემატება 8 საათს; მხარეები თანხმდებიან, რომ შემსყიდველს არ დაერიცხება მომსახურების ღირებულება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მას შეფერხებით ან საერთოდ არ მიეწოდება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული

ურება. მომსახურებისათვის თანხის დარიცხვა განახლდება მომსახურების შემაფერხებელი დაზიანების მოფხვრის მომენტიდან.
3.3 მხარეები თანხმდებიან, რომ იმ შემთხვევაში როდესაც დაზიანება სადემარკაციო წერტილიდან მიმწოდებლის მხარესაა, ეს უკანასკნელი ვალდებულია მსგავსი დაზიანება აღმოფხვრას შემსყიდველისათვის დამატებითი ფინანსური ვალდებულების წარმოშობის გარეშე. ხოლო იმ შემთხვევაში როდესაც დაზიანება სადემარკაციო წერტილიდან შემსყიდველის მხარესაა, მიმწოდებელი ვალდებულია შეატყობინოს მას ამის შესახებ. მიმწოდებელი არ არის ვალდებული სადემარკაციო წერტილიდან შემსყიდველის მხარეს არსებული დაზიანება ან შემსყიდველის ქმედებით/უმოქმედობით გამოწვეული დაზიანება აღმოფხვრას საკუთარი ხარჯით.

## 4. შემსყიდველის უფლება-მოვალეობანი:

4.1 შემსყიდველი უფლებამოსილია თავისი შეხედულებისამებრ ისარგებლოს მომსახურებით დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში და გამოიყენოს იგი ნებისმიერი მიზნებისათვის, გარდა მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე ხელშეკრულებით აკრძალულისა.
4.2 შემსყიდველის მიზეზით მომხდარი ნებისმიერი დაზიანება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მომსახურების მიწოდების შეფერხება, არ ათავისუფლებს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების გადახდისაგან.
4.3 შემსყიდველი ვალდებულია დროულად დაფაროს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების გადასახადი ამ ხელშეკრულებითა და მისი დანართი №1 გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
4.4 შემსყიდველი ვალდებულია, მისი შიდა ქსელის შესაბამისი ელემენტების დაზიანების შემთხვევაში უზრუნველყოს მისივე სარგებლობაში/მფლობელობაში მყოფ ან/და განთავსებულ მიმწოდებლის კუთვნილ აპარატურასთან მიმწოდებლის წარმომადგენლ(ებ)ის შეუფერხებელი დაშვება.
4.5 შემსყიდველს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შეუძლია სამუშაო საათებში დაუკავშირდეს მიმწოდებლის მიერ გამოყოფილ მენეჯერს (თორნიკე ანთია. ტელ: 599534427ელ. ფოსტა: tornikeantia@gmail.com) და მიიღოს მისთვის სასურველი ინფორმაცია.
4.6 ნებისმიერი მესამე პირის მიერ შემსყიდველის ქსელის, აპარატურის, ტექნიკური თუ პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით (მათში შეღწევისა და ექსპლუატაციის/გამოყენების გზით) განხორციელებული ნებისმიერი სახის მოქმედებაზე/უმოქმედობაზე, რომელსაც რაიმე სახის ზიანი მოაქვს მიმწოდებლისათვის, პასუხისმგებლობა (რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, მიყენებული ზიანის ანაზღაურებით) ეკისრება შემსყიდველს.
4.7 შემსყიდველს ეკრძალება მომსახურების სხვა მესამე პირებისათვის მიწოდება ნებისმიერი გზით.

## 5. მიმწოდებლის უფლება-მოვალეობანი:

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ხელშეკრულებაში მითითებული პირობების დაცვით.
5.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია უარი განაცხადოს მომსახურების მიწოდებაზე თუ: შემსყიდველი იყენებს ან ცდილობს გამოიყენოს მომსახურება არაკანონიერი მიზნებისათვის.
5.3 მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა და ნებისმიერი ვალდებულების შესრულება და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიმწოდებლის უფლებების რეალიზაციისათვის ხელშეწყობა.
5.4 მიმწოდებელი პასუხს არ აგებს იმ ზარალისათვის რაც შემსყიდველს შეიძლება მიადგეს შემსყიდველის კომპიუტერში მესამე პირის მიერ უსანქციო ან შემსყიდველის მიერ სანქცირებული შეღწევის შედეგად, ვინაიდან მიმწოდებლის მოვალეობა შემოიფარგლება მხოლოდ მონაცემებისა და ინფორმაციის გატარების უზრუნველყოფით და თავად შემსყიდველია პასუხისმგებელი მისი კუთვნილი სისტემების დაცვაზე მესამე პირების მიერ ხელყოფისაგან.
5.5 მიმწოდებელი არ არის ვალდებული შემსყიდველის ქმედებით/უმოქმედობით გამოწვეული ან სადემარკაციო წერტილიდან შემსყიდველის მხარეს არსებული დაზიანება აღმოფხვრას საკუთარი ხარჯით. დაზიანების შეკეთება ჩაითვლება ფასიან სერვისად და საფასური განისაზღვრება ინდივიდუალურად დაზიანებიდან გამომდინარე.

## 6. ფორს-მაჟორი

6.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაულახავი ძალა, რომლის წარმოშობაზე ხელშეკრულების მონაწილე მხარეები პასუხს არ აგებენ და რომლის არსებობის ან წარმოშობის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულების დადების მომენტში არ შეეძლოთ სცოდნოდათ.
6.2 გადაულახავ ძალად ჩაითვლება შემდეგი (და არა მხოლოდ):
6.2.1 სტიქიური უბედურებანი (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, შტორმი და სხვა.);
6.2.2 გამოცხადებული ან გამოუცხადებელი ომი, სამოქალაქო არეულობა, ნებისმიერი სახის საომარი მოქმედებები, საგანგებო მდგომარეობა, ეპიდემიები, ბლოკადა ან ნებისმიერი ეკონომიკური ემბარგო;
6.2.3 ხელისუფლების ნებისმიერი ერთეულის ან ხელისუფლების მიერ საამისოდ კომპეტენტურად განსაზღვრული ორგანოს გადაწყვეტილება და ისეთი ნორმატიული აქტების გამოცემა რომლებიც ზემოქმედებენ

...ების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და ცვლიან, წყვეტენ ან აჩერებენ ...ამდებარე ხელშეკრულების დებულებებსა და პირობებს.

6.3. ფორს-მაჟორული მოვლენა დადასტურებული უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

6.4 ფორს-მაჟორული გარემოებების წარმოშობის შესახებ მხარემ დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 7 (შვიდი) კალენდარული დღისა უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის ხელთ არსებული საკომუნიკაციო საშუალებებით (ტელეფონი, ფოსტა, ელექტრონული ფოსტა, კურიერი და სხვა).

6.5 ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყონებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

6.6 ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში, ვალდებულების შესრულების პერიოდი შეჩერდება იმ დროით, რა დროსაც გასტანა ასეთმა გარემოებებმა, თუ მხარეთა შორის არ იქნა მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება. თუ მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გაგრძელდა 2 (ორი) თვეზე მეტ ხანს, თითოეული მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, შეწყვეტის სავარაუდო თარიღამდე არანაკლებ ორი კვირით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნით (ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით) რომელიც მიწოდებული იქნება მხარის მიერ იმ მისამართზე, რომელიც განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე.

## 7. მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების პირობები

7.1 მთლიანი სახელშეკრულებო სავარაუდო ღირებულებაა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით შეადგენს **1120.00 (ერთი ათას ას ოცი)** ლარს დღგ-ს ჩათვლით. (ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.1 პუნქტში აღნიშნული თანხა შეიძლება შემცირდეს (დაზუსტდეს) მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით)

7.3 მომსახურების ყოველთვიური ღირებულება შეადგენს **160 (ას სამოცი)** ლარს.

7.4 შემსყიდველი ვალდებულია გადაიხადოს მომსახურების ხელშეკრულების დანართი № 1-ით გათვალისწინებული მომსახურების ყოველთვიური ღირებულება (შემდგომში ,,საბონენტო გადასახადი")

7.5 მომსახურების (როგორც საბონენტო) ღირებულების გადახდა ხორციელდება:

7.5.1 ანგარიშსწორებას შემსყიდველი განახორციელებს ფაქტობრივად მიღებული შესყიდვის ობიექტის რაოდენობის გათვალისწინებით შესაბამისი დოკუმენტაციისა და იღება ჩაბარების აქტის წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში

7.5.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ამ ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

7.6 საბონენტო გადასახადი მოიცავს მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის ყოველთვიურად გაწეული მომსახურების ღირებულებას და შემსყიდველისათვის მომსახურების ხელშეკრულების შესაბამისად გადაცემული აპარატურით სარგებლობის საფასურს.

7.7 გადასახადის გადაუხდელობის ან/და არასრულად გადახდის შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია შეუზღუდოს/შეუწყვიტოს შემსყიდველს მომსახურების მიწოდება. შეტყობინება დავალიანების თაობაზე შემსყიდველს ეგზავნება წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული შემსყიდველის რეკვიზიტებზე, კერძოდ, ელ-ფოსტის მისამართსა ან/და მობილურ ტელეფონის ნომერზე. შემსყიდველისათვის მომსახურების გაწევას მიმწოდებელი განაახლებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი სრულად გადაიხდის შეტყობინებაში მითითებულ თანხას. წინამდებარე მუხლში მითითებული შეზღუდვის საფუძვლის დადგომის დღიდან შემსყიდველის მიერ შეზღუდვის საფუძვლის 45 (ორმოცდახუთი) დღის ვადაში სრულად აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება.

## 8. მომსახურებით სარგებლობის წესები:

8.1 მომსახურებით სარგებლობისას აკრძალულია:

8.1.1 არასასურველი ელექტრონული გზავნილების, დაუშვებელი პროდუქციის, კომპიუტერული ვირუსების, თაღლითური ან/და სხვა მავნე პროგრამების ან/და მათი შემცველი რეკლამ(ებ)ის, ინფორმაციის ან სხვა მასალების გავრცელება/გადამისამართება, ასევე გადაცემა ინტერნეტის სხვა მომხმარებელთათვის, როგორც ელექტრონული მისამართების, ისე საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ელექტრონული გამოცემებისა და კონფერენციების მეშვეობით;

8.1.2 ტექნოლოგიურ კომპონენტებში (აგრეგატებში), პროგრამებში, მონაცემთა ბაზებში და ინტერნეტის სხვა კომპონენტებში არასანქცირებული შეღწევა.

## 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები:

9.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

9.2 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე:

9.2.1 მხარეთა შეთანხმებით;

მიმწოდებლის მიერ ცალმხრივად, შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისას;

9.2.3 მიმწოდებლის მიერ ცალმხრივად 7.6 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

9.2.4 შემსყიდველის მიერ, ხელშეკრულების შეწყვეტამდე არსებული ფინანსური თუ სხვა სახის ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემდეგ მიმწოდებლისათვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე;

9.2.5 მხარეები თანხმდებიან, რომ ეს მუხლი არ ვრცელდება ფორს-მაჟორის დროს;

9.2.6 მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ დაუბრუნოს მიმწოდებელს დროებით სარგებლობაში გადაცემული აპარატურა (ასეთის არსებობის შემთხვევაში). იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება, რომ მიმწოდებლისათვის დასაბრუნებელი აპარატურა დაზიანებულია, შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს აპარატურის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული ოდენობის პროპორციულად გამომდინარე აპარატურის დაზიანებიდან.

9.3 ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა არ ნიშნავს არსებული დავალიანების გადახდის ვალდებულების შეწყვეტას. შესაბამისად, შემსყიდველი ნებისმიერ შემთხვევაში ვალდებულია მიმწოდებელს გადაუხადოს წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე დაგროვებული დავალიანება.

9.4 ყველა ის შემთხვევა და პირობა, რომელიც გათვალისწინებული არ არის წინამდებარე ხელშეკრულებით, განიხილება და გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.5 წინამდებარე ხელშეკრულების ყველა პირობა და დებულება ვრცელდება და სავალდებულოა მხარეთა უფლებამონაცვლეთათვის, სამართალ მემკვიდრეთათვის და წარმომადგენელთათვის.

9.6 წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დამატება, ცვლილება და შესწორება იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ მას შემდეგ, რაც შესრულებული იქნება წერილობითი ფორმით და ხელმოწერილი იქნება მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დანართი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

9.7 შემსყიდველი პასუხს აგებს წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული შემსყიდველის საკონტაქტო მონაცემების სისწორეზე. მითითებულ მონაცემთაგან რომელიმეს ცვლილების თაობაზე შემსყიდველმა დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მიმწოდებლის უშუალო მენეჯერს.

9.8 მოქმედი კანონმდებლობის ცვლილება, რომელიც ცვლის ან აუქმებს წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულებას, არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ან მისი სხვა დებულებების ბათილობას. ამ შემთხვევაში მხარეები შეეცდებიან მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამო ან ბათილი დებულება შეცვალონ ისეთი დებულებით, რომელიც ყველაზე უკეთ ასახავს კანონმდებლობასთან შეუსაბამო ან ბათილი დებულების არსს.

9.9 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე ან მასთან დაკავშირებით რომელიმე მხარისათვის გასაგზავნი ნებისმიერი შეტყობინება ან მოთხოვნა გაცემული უნდა იქნას ქვემოთ მითითებული რეკვიზიტების გათვალისწინებით. აღნიშნული რეკვიზიტები, აგრეთვე გათვალისწინებული უნდა იქნას ანგარიშსწორების დროს. თუ ამ ხელშეკრულების რომელიმე ნაწილით სხვა რამ არ არის დადგენილი, შეტყობინება ან მოთხოვნა მიწოდებულად უნდა ჩაითვალოს შეტყობინების ან მოთხოვნის ფაქსის ან ელ-ფოსტის საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში - გაგზავნის დროს, ხოლო ფოსტის საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში - ფოსტაში განთავსებიდან მე-5 დღეს, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც შეტყობინება ადრესატს არ ჩაბარდა.

## 10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1 შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 0.01 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის, გარდა მიმწოდებლის მიერ ანგარიშ-ფაქტურის წარმოუდგენლობისა და ფორს-მაჟორული გარემოებების შემთხვევებისა.

10.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის ხელშეკრულების 0.01 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის, გარდა ფორს-მაჟორული გარემოებების შემთხვევისა.

10.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ნაკისრი ვალდებულების შესრულებისაგან.

## 11. ხელშეკრულების შესრულების ინსპექტირება

11.1 შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებლის მიერ მომსახურების განხორციელებისას, ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ინსპექტირება. ინსპექტირებას ახორციელებს შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენლები.

11.2 ინსპექტირების ჯგუფის ფუნქციებია:

11.2.1 გაუწიოს ინსპექტირება მომსახურების განხორციელების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას.

11.2.2 დაადგინოს შეესაბამება, თუ არა განხორციელებული მომსახურება ხელშეკრულების მოთხოვნებს.

11.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

11.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 12. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა

12.1 მომსახურების ხელშეკრულებით და მისი დანართებით გაუთვალისწინებელი ყველა საკითხი, მხარეთა შეთანხმებით მოწესრიგდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12.2 მომსახურების ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა დავას, უთანხმოებას და პრეტენზიას მხარეები წყვეტენ ურთიერთმოლაპარაკების გზით. მხარეებს, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ნებისმიერ დროს შეუძლიათ მიმართონ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ან საქართველოს სასამართლოს.

12.3 ყოველივე ზემოაღნიშნულის დასადასტურებლად, მხარეებმა საკუთარი უფლებამოსილი წარმომადგენლების საშუალებით ზემოთ მითითებულ დღესა და წელს გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება ქართულ ენაზე, სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომლებიც ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

## 13. მხარეთა რეკვიზიტები

*შემსყიდველი:*
სსიპ პროფესიული კოლეჯი „ლაკადა“
ს/კ 242728679
მისამართი: ქ. ჯვარი, ყაზბეგის ქ № 2.
ტელ: 595506732
საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა, კოდი:TRESGE22

მიმწოდებელი:
შპს„ აიროპტ“
ს/ნ 420003267
მისამართი: ზუგდიდის რ-ნი,სოფ. ინგირი, ტიციანის ქ. #37
დირექტორი: თორნიკე ანთია
ელ. ფოსტა: tornikeantia@gmail.com
ტელეფონი:599534427
სს „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარისწ.ანგ. GE61BG0000000258185000GEL

თეანა ქუხილავა
დირექტორი

თორნიკე ანთია
დირექტორი

დანართი № 1

მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის ხელშეკრულების საფუძველზე გასაწევი მომსახურების აღწერილობა:

| # | სერვისი | მომსახურების მიწოდების მისამართი | ყოველთვიური სააბონენტო | მომსახურების ღირებულება სულ | მომსახურების მიწოდების სავარაუდო ვადა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 7 | 8 |
| 1. | ინტერნეტი ტრაფიკის სიჩქარე - 8 მბ/წმ | ქ. ჯვარი ყაზბეგის ქ.№2 | 160.00 ლარი | 1280,00 ლარი | 01.05.2018-დან. 31.12.2018-ჩათ. |

*შემსყიდველი:*
*შემსყიდველი:*
სსიპ პროფესიული კოლეჯი „ლაკადა“
ს/კ 242728679
მისამართი: ქ. ჯვარი, ყაზბეგის ქ № 2.
ტელ: 595506732
საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა, კოდი:TRESGE22

თეანა ქუხილავა
დირექტორი

მიმწოდებელი:
შპს„ აიროპტ“
ს/ნ 420003267
მისამართი: ზუგდიდის რ-ნი,სოფ. ინგირი, ტიციანის ქ #37
დირექტორი: თორნიკე ანთია
ელ. ფოსტა: tornikeantia@gmail.com
ტელეფონი:599534427
სს „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარისწ.ანგ. GE61BG0000000258185000GEL

თორნიკე ანთია
დირექტორი